

საკუთარი სახლის დაკარგვის და „სხვის სახლში“ ცხოვრების
გამოცდილებები: თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილთა მაგალითი

მონიკა ზუხბაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა
და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მონიკა ზუხბაია

29.06.2022

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება საკუთარი სახლის დაკარგვის და „სხვის სახლში“ ცხოვრების გამოცდილებებს: თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მაგალითზე. აფხაზეთ–საქართველოს ომის 30 წლის თავზეც დევნილთა საკითხები კვლავ აქტუალური და მნიშვნელოვანია. დევნილების აფხაზეთში საცხოვრებლის დატოვების შემდგომ, უწყვეტ სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება. რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეულ პრობლემებთან ერთად დევნილები განიცდიან მშობლიური გარემოსგან და სახლისგან შორს ყოფნას. ნაშრომი, სწორედ აფხაზეთში დატოვებული და თბილისში ამჟამინდელი სახლის გაგებას, უცხო გარემოში „საკუთარი სახლისა“ და მშობლიურობის შექმნის პრაქტიკებისა და გამოცდილებების შესწავლას ცდილობს. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი მიდგომის ორი მეთოდი: ბიოგრაფიულ–ნარატიული ინტერვიუსა და ჩართული დაკვირვების კომბინაცია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, აღწეროს თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) საკუთარი სახლის დაკარგვისა და ახალ საცხოვრისში მშობლიურობის შექმნის პრაქტიკა და გამოცდილება, შეისწავლოს ის გრძნობითი და მატერიალური განზომილებები, რომლითაც ეს გამოცდილება ხასიათდება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ სახლის გაგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტენდენციები. გამოვლინდა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლითაც დევნილები აფასებენ ძველ–„საკუთარ სახლს“ და ახალ–„სხვის სახლს“, ასევე გაირკვა, თუ რომელ მათგანთან არის დაკავშირებული მშობლიურობის განცდა და ბოლოს გამოჩნდა თუ

როგორ არის მატერიალიზებული მშობლიურობის შექმნის პრაქტიკები უცხო გარემოში.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის ომი, აფხაზეთი, იძულებით გადაადგილებული პირი, დევნილი, სახლი.

Abstract

This paper examines the experience of losing one’s home and living in “someone else’s house” on the example of IDPs from Abkhazia living in Tbilisi. Albeit 30 years have passed since the Abkhazian-Georgian conflict, issues related to IDPs problems are still crucial and relevant. IDPs have to face and overcome vast of challenges after leaving their homes in Abkhazia. Along with the obstacles caused by the difficult social and economic background, IDPs have to handle being far from homely environment and home itself. Paper tries to understand the meaning of home in terms of house left in Abkhazia and dwelling in Tbilisi, the practices and experience of creating “your home” and homeliness in an unfamiliar environment. The paper employs qualitative approach, namely biographical-narrative interview and participant observation methods are combined within the design.

The main research objective is to describe the experience of losing one’s home and practices of home-making in the new dwelling employed by IDPs from Abkhazia living in Tbilisi; alongside, paper tries to examine the sensual and material dimensions that are characteristic to this experience.

Based on the research findings, there are crucial tendencies in terms of IDPs’ understanding of home. Also, the research has identified the main criteria IDPs use to evaluate and differentiate old – “own home” and new – “someone else’s house”; along with this, the findings reveal which

dwelling is associated to “homeliness” for them and lastly, the paper has found how practices of creating homeliness in an unfamiliar environment is materialized.

Key words: War of Abkhazia, Abkhazia, IDPs, home.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, სოფიკო ზვიადაძეს გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ თითოეულ პირს, გაზიარებული გამოცდილებებისთვის. აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ემოციური მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით ჩემს მეგობრებს და კურსელებს.